ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРიული ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲗᲔᲗᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 158 (18700) ᲙᲕᲘᲠᲐ, 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

9 ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ XIV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲜᲐᲗᲒᲠᲓᲐ.

ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲐᲛᲑᲐᲗᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲡᲐᲓᲝᲠᲘ Ნ. Ზ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲪᲚᲐᲛᲭᲘᲡ ᲠᲔᲙᲢᲝᲠᲘ Ბ. Დ. ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ბ. Ბ. ᲚᲔᲕᲨᲘᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲠᲗᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Რ. Ა. ᲒᲝᲜᲒᲚᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲝᲜᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ნ. Ა. ᲤᲝᲜᲬᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 158 (18700) კვირა, 10 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა მუშაობა განაგრძო.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ზ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ᲒᲐ. ᲒᲐ. ᲨᲣᲚᲐᲠᲛᲘᲫᲘ, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ᲒᲐ. Ქ. ᲫᲣᲜᲐᲕᲐ, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი Ო. Ა. ᲮᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲕᲘ, საქართველოს სსრ პროკურორი ᲐᲐ. Ბ. ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი Ბ. Ბ. ᲭᲘᲠᲐᲫᲔᲕᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი Ვ. Ვ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი Ზ. Დ. ᲩᲘᲜᲫᲐᲫᲔ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. Ა. ᲤᲝᲜᲬᲘᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი Ბ. Დ. ᲒᲣᲚᲣᲐ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი Ბ. Ბ. ᲚᲔᲥᲕᲘᲫᲔ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. Ა. ᲒᲝᲜᲒᲚᲘᲫᲔ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე Თ. Ტ. ᲠᲘᲑᲐᲫᲔ, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი Ე. Ნ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი Დ. Ი. ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Ე. Ა. ᲨᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა Ნ. Შ. ᲔᲜᲓᲔᲚᲐᲫᲔ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, Ვ. Ი. ᲠᲘᲡᲐᲠᲓᲘᲐ — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

(საინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი თავიანთ ერთობლივ დადგენილებაში აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის მეშრომელები ფართოდ უჭერენ მხარს მოსკოვის სახარისხებელი დეპოს კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას, რომლის ინიციატივითაც გაჩაღდა კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების საყოველთაო-სახალხო მოძრაობა — დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „25 დამკვრელური კვირა კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავად“.

რესპუბლიკის ბევრ შრომის კოლექტივში მოეწყო მუშათა კრებები და მიტინგები, რომლებზეც მშრომელებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ვადამდე შესასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი. თბილისის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა — რესპუბლიკაში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გაჩაღების ერთ-ერთმა ინიციატორმა, აგრეთვე თბილისის, სამტრედიის, ხაშურის სავაგონო დეპოების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, თბილისის სართავი ფაბრიკის, ქუთაისის კიბოების სახელობის სამკერვალო გაერთიანების, „სოხუმხელსაწყოს“, ბათუმის ხისდამუშავებელი კომბინატის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმოებმა გადაწყვიტეს დადგნენ შრომითს ვახტზე და ყოველი კვირა გადააქციონ დამკვრელურად, ყოველდღიურად გადაჭარბებით შესასრულონ დაწესებული დავალებანი, გამოუშვან მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია. მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ათასობით მშრომელმა იკისრა ვალდებულება შეასრულონ 1983 წლისა და ხუთწლედის სამი წლის დავალებანი იუბილეს დღის — 13 ოქტომბრისათვის.

რესპუბლიკაში საიუბილეო საშზაღისი მომდინარეობს იმ მუშაობის საყოველთაო აქტივიზაციის მიზნით, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა — საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. ბ. ბასოვმა, გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოების ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, რეალური სოციალიზმის ისტორიული მიღწევების და უპირატესობების, თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას. იხვეწება ლექციური პროპაგანდის ფორმები და მეთოდები, მაღლდება მისი იდეური და მეცნიერული დონე.

ამასთანავე, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ლექციური პროპაგანდის ორგანიზაციასა და შინაარსში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სუსტია მისი კავშირი ცხოვრებასთან, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, იმ კონკრეტული ამოცანების გადაჭრასთან, რომელთა განსახორციელებლადაც იღვწიან შრომითი კოლექტივები, მასობრივი სკოლა, სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. კომუნისტური შრომის დამკვრელებმ და კოლექტივები კისრულობენ ვალდებულებას კიდევ უფრო გაუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა, განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, გაუწონ საშეფო დახმარება ჩამორჩენილთ, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ სამუშაო დრო. ეს მოძრაობა, რომელიც სულ უფრო ფართოდ მოიცავს კომეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა კოლექტივებს, რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონეს რესპუბლიკის იმ შრომითი კოლექტივების ინიციატივა, რომლებიც ქალაქ მოსკოვის მშრომელთა მაგალითისაბერ დადგენენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილი მოძრაობის 25 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რათა წარმატებით შეასრულონ 1983 წლისა და მთლიანად ხუთწლედის იკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულსა და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, რათა დარაზმონ მშრომელები ღირსსახსოვარი იუბილეს ჯეროვანი შეხვედრისათვის.

მშრომელთა პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტიურობა და ინიციატივა შრომის ამ დღესასწაულის აღსანიშნავად, ხაზგასმულია დადგენილებაში, უნდა მოხმარდეს იმას, რომ გამოვაჯანოთ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მთელი არსებული რეზერვები, რათა წარმატებით შევასრულოთ ხორცი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ამოცანებს, დასკვნებს და დებულებებს, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში. პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანი ის უნდა იყოს, რომ მშრომელებს, ახალგაზრდობას ჩამოვუყალიბოთ და დავუმკვიდროთ შეგნებაში მაღალი კომუნისტური იდეურობა, განვამტკიცოთ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, სახელმწიფო წესრიგი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ღონისძიებანი, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილი მოძრაობის 25 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში ხორციელდება, მიზანმიმართულად უნდა ეხამებოდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ რესპუბლიკა ღირსეულად შეხვდეს გეორგიევსკის ტრაქტატის — ქართველი და რუსი ხალხების ძმობისა და მარადიული მეგობრობის მანიფესტის 200-წლისთავს.

შრომითი კოლექტივების პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის გაშლილი მოძრაობის მონაწილეთა მთავარი ყურადღება მიაპყრონ შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ ზრდას, პროდუქციის გამოშვების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. წარმოების ყველა უბანზე ყოველგვარი მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას,

დადგენილებაში მიზანშეწონილად არის მითითებული, რომ საწარმოებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში მოეწყოს შრომითი ესტაფეტები, კომუნისტური შრომის დამკვრელთა შეკრებები, ფართოდ და ყოველმხრივ იქნეს გაანალიზებული წარმოებაში შრომელთა პოლიტიკურ, შრომითს და ხელობრივ აღზრდაში მოპოვებული წარმატებები. უნდა დაიხვეწოს მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები და მეთოდები, კომუნისტური შრომის დამკვრელთა პატივების, ამ მაღალი წოდების მინიჭებისა და დამტკიცების რატიფიკები.

რესპუბლიკური გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციებს წინადადება მიეცათ მოაწყონ კომუნისტური შრომითი კოლექტივების გადაძახილი, ამ მოძრაობის ინიციატორთა, წარმოების ნოვატორთა, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო მუშაკთა, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა გამოსვლები, რომლებიც მიეძღვნება მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის გაჯანსაღებას-განვითარებას.

საქართველოს სსრ სახკინო, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს პროფსაბჭოს კინოსაბჭო მიმდინარე წლის ოქტომბერში მოაწყობენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობისადმი მიძღვნილ კინოკვირეულს, რომელზეც ფართოდ იქნება წარმოდგენილი მხატვრული, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. წლის დამლევს კი თბილისში გაიმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელი ფართოდ გაანალიზებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მტკიცედ იბრძოლებენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და უზრუნველყოფენ 1983 წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის ყველა ამოცანის წარმატებულ შესრულებას.

(საქინფორმი).

ᲡᲠᲣᲚᲕᲧᲝᲗ ᲚᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐ

8 **ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** გაიმართა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“, რუსეთის სფსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობათა და სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საბჭოს გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც განიხილა ლექციური პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების, საზოგადოების ორგანიზაციათა საქმიანობის სრულყოფის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მომხსენებელმა — საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. ბ. ბასოვმა, გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოების ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, რეალური სოციალიზმის ისტორიული მიღწევების და უპირატესობების, თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას. იხვეწება ლექციური პროპაგანდის ფორმები და მეთოდები, მაღლდება მისი იდეური და მეცნიერული დონე.

ამასთანავე, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ლექციური პროპაგანდის ორგანიზაციასა და შინაარსში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სუსტია მისი კავშირი ცხოვრებასთან, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, იმ კონკრეტული ამოცანების გადაჭრასთან, რომელთა განსახორციელებლადაც იღვწიან შრომითი კოლექტივები, პლენუმის მონაწილეებმა დასახეს ლექციური პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების გზები. იგი ყოველი ღონისძიებით უნდა უწყობდეს ხელს კარდინალური სახალხო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა სახალხო უნივერსიტეტების, როგორც შრომელთა სოციალური აქტიურობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფორმის განვითარებისათვის, გაუმჯობესდეს ლექტორთა თვისებრივი შემადგენლობა, გაძლიერდეს ლექციური პროპაგანდა ახალგაზრდობას შორის, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ბ. ი. სტუკალინმა. (საკადესი).

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲬᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა სადღესასწაულოდ არის მორთული, საწარმო აღნიშნავს თავის 100 წლისთავს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიღწეული საწარმოო წარმატებებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით საწარმო ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოდა.

9 ივლისს ქარხანას ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა საწარმოს ხელმძღვანელებს, დაათვალიერა ქარხნის მუზეუმი, სადაც მას მიართვეს საწარმოს სიმბოლური გასაღები, ნახა სასადილო და სხვა ობიექტები, ესაუბრა მუშებს, შრომისა და პარტიის ვეტერანებს, გამოიკითხა მათი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

ქარხნის ხელმძღვანელებმა, შეხვედრის მონაწილეებმა ილაპარაკეს საწარმოს რეკონსტრუქციის შესახებ, რომლის დამთავრების შემდეგაც მნიშვნელოვნად გაიზრდება მისი საწარმოო სიმძლავრენი, გაიცენეს სტუმრებს როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაჩაღებულია სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, 1983 წლის გეგმების განსახორციელებლად.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საწარმოს მშრომელებს მიულოცა იუბილე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ქარხნის კოლექტივმა, მისმა პარტორგანიზაციამ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა უზრუნველყონ ყველა უბანზე შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, უსურვა სახელგანთქმულ კოლექტივს ახალი დიდი წარმატებანი შრომითს საქმიანობაში.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილე ა. ტ. გოლოვატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე. (საქინფორმი).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲡᲕᲔᲢᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲜᲡᲐᲜᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ 85 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲖᲔᲛᲘᲠᲝ ᲡᲚᲔᲓᲝᲛᲐᲖᲔ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ ამხანაგებო!

დღეს აღვნიშნავთ ღირსსახსოვარ თარიღს — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის 100 წლისთავს და მისი პარტიული ორგანიზაციის 85 წლისთავს. ეს იუბილე ჩვენ ჩატოოდენ თქვენი შესანიშნავი კოლექტივის ბიოგრაფიის სასახელო მოვლენა როდია, ეს მთელი რესპუბლიკის ისტორიის ნიშანსვეტია. სწორედ აქ, თქვენს ქარხანაში იშვა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი პირველი კერა, აქ დაიზარდა, დავაქაცდა და აქტიურ პოლიტიკურ მებრძოლად ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბევრი გამოჩენილი ფოლვაწე.

დღეს უნებლიეთ გვახსენდება კარლ მარქსის მოსწრებული ფრაზა „რევოლუცია ისტორიის ლოკომოტივიაო“. ეს ტევადი, ხატოვანი ფორმულა უშუალოდ ეხება თქვენს იუბილარ საწარმოს, რადგან აქაურ სახელოსნოებში ახლად შობილა რუსეთის სამი რევოლუციის ეპოქის ლოკომოტივები და მათთან ერთად იშვა ახალი კლასიც — საქართველოს და ამიერკავკასიის მუშათა კლასი, მისი სასიქადულო მებრძოლი რაზმი — რკინიგზელები, რომელთა ლოკომოტივებსაც მიჰყავდათ მხარის მშრომელები დიადი რევოლუციური მიზნის, უმაგალითო ისტორიული პროგრესისაკენ.

ნიშანდობლივია, რომ თქვენი ქარხნის 100 წლის იუბილე აღინიშნება კარლ მარქსის წელს, რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავზე, ნიშანდობლივია, რომ იგი დაემთხვა ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს — დიდი ინტერნაციონალური ღღესასწაულის სამზადისს; ყოველივე ეს ნიშანდობლივია, რამეთუ თქვენი ქარხნის შრომითს კოლექტივს რევოლუციამდეც და მის შემდეგაც მუდამ მაღლ

რესპუბლიკის ისტორიის ნიშანსვეტი

(დასასრული)

სოციალისტური ვალდებულებანი, სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების ბაზაზე, ამაღლდეს ორგანიზებულობა და კიდევ უფრო განვითარდეს სოციალისტური დემოკრატია, განხორციელდეს რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, წარმოებაში დაინერგოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები.

საჭიროა, ამხანაგებო, ყველამ შევიგნოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ იწყება ოვსებრივად ახალი ეტაპი მთელი ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში. ეს ეტაპი უნდა შეიგრძნოს თითოეულმა კომუნისტმა ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში, ჩვენი საზოგადოების თითოეულმა წევრმა ყოველ შრომითს კოლექტივში, და ეჭვი არ არის, რომ თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, მთელი შრომითი კოლექტივი პირნათლად გაართმევენ თავს ამ ამოცანას.

ამის საწინდარია თქვენი ქარხნისა და თქვენი პარტიული ორგანიზაციის ისტორია და ტრადიციები.

უდიდესი მოღვაწეების გრძნობა გვეუფლება, როცა ვფურცლავთ თქვენი შესანიშნავი კოლექტივის ბრძოლისა და გამარჯვებების მატიანეს, სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მიღწევების მატიანეს. და ეს, ამხანაგებო, მარტოოდენ ქარხნის ისტორია როდია. ეს არის საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატის ჩამოყალიბების ცოცხალი ხსოვნა, ეს არის საძულველი მეფის თვითმპყრობელობისგან განთავისუფლების ძნელი გზა, ეს არის თავდადებული და შთაგონებული ბრძოლა პირველი ხუთწლედების პერიოდში, დიდი სამამულო ომის წლებში, სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესში, ეს არის ყოველდღიური ნამდვილად გმირული შუმაობა ყველა მომდევნო წლის განმავლობაში. ეს არის საქართველოსა და მისი მუშათა კლასის შესანიშნავი დღევანდელობა.

წმიდათაწმიდაა ამ ისტორიის ნიშანსვეტები. მას გმირული მიღწევებით ქმნიან სხვადასხვა თაობის ადამიანები — ისინი, ვინც თვითმპყრობელობის უკანასკნელ დასაყრდენს ლაშქრავდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებდა, და ისინი, ვინც აწრთობდა ფოლად და ქმნიდა ახალი ცხოვრების საფუძველს, ისინი, ვინც ებრძოდა ფაშიზმს, აღადგენდა ომით ძირგამოთხრილ ეკონომიკას, ვინც არ უშინდებოდა განსაცდელს და თამამად მიიწევდა წინ სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ვინც ამ დიდი და მნიშვნელოვანი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ზრდიდა ახალგაზრდობას და გადასცემდა მათ შრომითი მამაცობისა და დიდების ესტაფეტას.

ჯერ კიდევ სკოლის სახელმძღვანელოების ფურცლებიდან გვახსოვს ქარხნის ისტორიის ნიშანსვეტების, საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბების ნიშანსვეტების დამახასიათებელი სასახელო თარიღები.

1899 წელს მთავარი რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა, როგორც მაშინ ეწოდებოდა ქარხანას, პირველი არალეგალური მაისობა მოაწყვეს. უკვე მეორე წელს კი მათ საპირველმაისო დემონსტრაცია გამართეს ქალაქის ცენტრში და ამით მოუწოდეს საქართველოს პროლეტარიატს მაღლა აღემართა რევოლუციური ბრძოლის დროშა.

მთავარმა რკინიგზის სახელოსნოებმა დიდი როლი შეასრულეს მთელი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. უკვე 1887 წელს აქ მოქმედებდა ერთ-ერთი პირველი მუშათა წრე — „მუშათა კავშირი“. 1889 წელს გაიმართა ოქტომბრის გაფიცვა. ეს იყო პირველი მასობრივი გამოსვლა რკინიგზელებისა, რომლებიც იმხანად საქართველოს მუშათა კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან მებრძოლ რაზმს შეადგენდნენ.

აქ დაიწყო ალექსი პეშკოვის შრომითი ბიოგრაფია. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან თავისი პირველი ნაწარმოები — მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა მ. გორკის ფსევდონიმით. ამ სახელით მოეკლინა იგი თანამედროვე ლიტერატურის ისტორიას როგორც „რევოლუციის მაუწყებელი ქარიშხალა“, როგორც სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი.

სახელოსნოებში ჩამოყალიბდა საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომლებშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები — მუშები ზაქარია ჩოდრიშვილი, მიხეილ ბოჭორიძე, არაქელ ოქუაშვილი, სერგი ალილუევი და სხვები.

1898 წელს აქ, სახელოსნოებში, ჩამოყალიბდა პირველი მარქსისტული წრე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იოსებ სტალინი.

წრეში შედიოდნენ გ. რთველაძე, გ. ნინუა, გ. თელია, ვ. სტურუა, ს. ალილუევი, მ. ბოჭორიძე, ა. ზაკომოლდინი, პ. მონტინი, გ. გულდადავა და სხვები.

1900 წელს სახელოსნოებში მუშაობა დაიწყო მ. ი. კალინინმა, რომელიც მეფის მთავრობამ თბილისში გადმოასახლა. აქ იგი აქტიურად ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში, გამოდიოდა არალეგალურ კრებებზე, უამბობდა მშრომელებს პეტერბურგელი მუშების რევოლუციური ბრძოლის შესახებ.

მოგვიანებით მ. ი. კალინინი იხსენებდა: „მე არ მეგულება მეფის რუსეთში ისეთი დიდი საპყრობილე, სადაც არ ყოფილიყვნენ თბილისელ რკინიგზელთა საუკეთესო წარმომადგენლები. და ვინ მოთვლის, რამდენი დაიღუპა უშუალო შეტაკებებში მეფის თვითმპყრობელობასთან, რამდენი გადაასახლეს და რამდენს მიუსაჯეს კატორღა. ასე იქმნებოდა თბილისელ რკინიგზელთა რევოლუციური ტრადიციები, ამაღელებული იდეალების, მუშათა კლასის უკეთესი მომავლისათვის მგმირული ბრძოლის, იმ ბრძოლის ტრადიციები, რომელიც მუშათა კლასს მოაპოვებინებდა ძალაუფლებას და ამ ძალაუფლების შემწეობით ააშენებინებდა ახალ სამყაროს. ამ სასიქადულო ტრადიციას წმიდად უნდა სცემდეს პატივს და განაგრძობდეს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, მეტადრე, თბილისის ორთქლმავალაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდობა. ამ ტრადიციებში არის რაღაც განსაკუთრებული, რაც უდიდესი უპირატესობით გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის სხვა ფაბრიკა-ქარხნების რევოლუციურ მუშათა ტრადიციებთან შედარებით“.

1901 წელს გაიმართა ღია საპირველმაისო მასობრივი დემონსტრაცია ქალაქის ცენტრში, რომლის შესახებაც ლენინურო „ისკრა“ წერდა: „1901 წლის მაისობის შემდეგ, როცა მუშებმა მთელ ქალაქში ჩაიარეს აფრიალებული ლოზუნგებით, ჩვენ გვაძლიერდება რევოლუციური განწყობილება“. სახელოსნოების მუშათა რევოლუციური თვითშეგნების ზრდას მოწმობს ისიც, რომ ამ პერიოდში ლენინურ-ისკრული მამრთულების რსმმ თბილისის კომიტეტში შევიდნენ მთავარი სახელოსნოების წარმომადგენლები. მენშევიკთა ბატონობის პერიოდში სახელოსნოების მუშებმა უნდობლობა გამოუცხადეს მენშევიკურ მთავრობას.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1921 წლის მარტში, დაიწყო პირველი კომუნისტური უჯრედების შექმნა. 1922 წელს სახელოსნოების მუშებმა ვ. ი. ლენინს უპატაკეს, რომ ოქტომბრის ხუთი წლისთავის აღსანიშნავად, ქარხნის აღდგენის შემდეგ, საწარმოს კედლებიდან გამოვიდა პირველი შეკეთებული ორთქლმავალი.

1928 წელს სახელოსნოებს სახელი შეეცვალა და ეწოდა ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალაგონშემკეთებელი ქარხანა. წარმოების აღმავლობის მისაღწევად აქტიური მუშაობისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტემ 1933 წლის 22 თებერვალს საწარმო საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა.

ქარხნის კოლექტივის მიერ გამოვლილი ყოველი დღე, ყოველი წელიწადი, ეს იყო ახალი ნაბიჯი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ჩვენ ვიცით, რა ძალა აქვს მაგალითს, მეტადრე საუკეთესო მუშათა, წარმოების მოწინავეთა მაგალითს. ქარხანაში ნიადაგ წარმოებდა მიზანმიმართული მუშაობა ადამიანთა აღსაზრდელად, ამიტომაც იყო, რომ აქ პირველებმა იიტაცეს სსკკეთო თაოსნობანი, ამიტომაც ჩქეფს აქ ესოდენ ძალუმად მუშათა ინიციატივა.

სწორედ ქარხანაში იშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა, რომელიც წამოაყენა წარჩინებულმა მჭედელმა კოსტა ილურიძემ, — ებრძოლათ თავიანთ პროფესიაში საუკეთესო წოდების მოსაპოვებლად. ეს პატრიოტული ინიციატივა თანდათან ვრცელდებოდა მთელ რესპუბლიკაში.

მართლაცდა სიმბოლურია მუშაკის კონსტანტინე ილურიძის — ქარხნის მჭედლის ლეგენდარული სახე, რომელიც აქ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მუშაობს. კოსტა ილურიძეს მთელი რესპუბლიკა იცნობს, იმიტომ რომ მისი შეგნებული ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი საათი განუყოფელად არის დაკავშირებული ქარხანასთან, მის საქმეებთან, საწარმოს კოლექტივის მიღწევებთან. და ახლაც, ეს 73 წლის ჯარმაგი კაცი საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო ჭედელია, რომელსაც ბევრი ვერ დაუდებს ტოლს. გამოცდილმა ოსტატმა ქარხანაში მუშაობის წლების მანძილზე ასობით მოწაფე აღზარდა.

უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ამისათვის, ბატონო კონსტანტინე! მადლობა თქვენდა, რომ ახლაც მიუძღვიან ახალგაზრდობას, ზრდით მას მუშური მოვალეობის ერთგულების, მუშური სინდისნამუსის მაგალითებით.

ქარხნის ისტორია მდიდარია შრომითი გმირობებით, მუშათა სახელებით, სამუდამოდ რომ ჩაიწერა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში.

დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ თამარ ბედიაშვილი —პირველი ქართველი ქალი, რომელიც ჩარხთან დადგა, პირველი სტაგანოველება — დავით ჭიჭინაძე, რომელმაც თავის ბრიგადასთან ერთად ჭედვის საკავშირო რეკორდი დაამყარა, მღუნავი მიხეილ გოცაძე, რომელიც დავალებებს ჩვეულებრივ 5-6-გზისი გადაჭარბებით ასრულებდა. შრომითი მამაცობის, მუშური გმირობის ასეთი მაგალითი მრავლად არის.

ქარხნის ყოველი თაობა, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის ყოველი თაობა წყვეტდა თავის ამოცანებს, თავისი დროის ამოცანებს. დღეს ჩვენ ვამაყობთ ისეთი წარჩინებული ადამიანებით, როგორიც არის ქარხნის ხარატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გივი გაჩეჩილაძე.

ჰკითხეთ საშუალო თაობის ადამიანებს, მუშებს, რომლებსაც გივი გაჩეჩილაძეც ეკუთვნის, — რა არის მათი მუშაობის ღერძი, და ისინი —დარწმუნებული ვარ — უსათუოდ გიპასუხებენ —ჩვენი მუშური სინდისიო.

ყველამ ვიცით ასეთი შესანიშნავი ფაქტი: გივი გაჩეჩილაძემ ქარხანაში მოიყვანა თავისი ვაჟი — მერაბი, დაეხმარა მას დაუფლებოდა მუშის პროფესიას. დროთა განმავლობაში მერაბი მხარში ამოუდგა მამას, და საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიაც მიენიჭა. სწორედ ეს არის აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის, მუშათა ტრადიციების გაჩენის ყველაზე მკაფიო მაგალითი.

დღეს ქარხანაში გვიამბეს შრომითს დინასტიებზე, რომლებიც სამასი წლისა და მეტი ხნისანი ყოფილან. ეს შესანიშნავი, საამაყო დინასტიებია.

თქვენი ქარხნის შრომითი კოლექტივი მტკიცედ შეკრული ინტერნაციონალური კოლექტივია. ეს ქართველების კონსტანტინე ილურიძისა და გივი გაჩეჩილაძის მხარდამხარ მუშაობენ რუსი ლენინდე ანდრიანოვი და უკრაინელი ნიკოლოზ ივაშკო, სომეხი სერგი ტიგრანიანი და ოსი ვლადიმერ ჯაგაევი, ბერძენი დიმიტრი ქოქოზოვი და მოლდაველი თვედორე დიდა, იეზიდი კახატ ამაროვი და სხვადასხვა ხალხის, სხვადასხვა ერის ბევრი წარმომადგენელი.

თქვენს ქარხანას არ ეთქმის ყველზე დიდი საწარმო რესპუბლიკაში, მაგრამ მთავარი საწარმოს მასშტაბი, მოუშავე ადამიანთა რიცხვი როდია. მაღალი შეფასებებითი აქტიურობა, მზადყოფნა ალალმართლად ემსახურებოდეს თავის საქმეს, ნამუსიანად უდგებოდეს თავისი შრომისა და ამხანაგების შრომის შეფასებას —აი, ის მთავარი კრიტერიუმები, რომლებიც ქარხანას შესაძლებლობას აძლევს მუდამ იყოს საქართველოს მუშათა კლასის ავანგარდში.

აქაც უნდა ხედავდე მთავარს— ასეთ დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და თანამშრომელი ამხანაგებისადმი, პრინციპულობას, პატიოსნებას, უკომბრომისობას საკვანძო საკითხების გადაწყვეტაში —თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა ამ თვისებებს ასაზრდოებს მათი მამების ტრადიციები, იარაღით ხელში რომ იბრძოდნენ თავიანთი ხალხის მართალი საქმის

ვაგონები, რომლებსაც თქვენ არემონტებთ, მგზავრებს უნდა ემსახურებოდეს, და მაშასადამე, საამისოდ ყველა პირობა უნდა იყოს შექმნილი. მოძრავი შემადგენლობის შეკეთების მაღალი ხარისხი, საიმედოობა — აი, რა უნდა ახასიათებდეს კოლექტივის მთელი საქმიანობის საბოლოო შედეგებს. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში კი, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ისე, როგორც ჯერ არს, და იმისათვის, რომ გადაეჭარბოთ დასახულ მიჯნებს, მიაღწიოთ მეტს, უწინარეს ყოვლისა, გმართებთ განამტკიცოთ დისციპლინა — შრომის, საწარმოო, ტექნოლოგიური დისციპლინა. სწორედ ეს მოგცემთ შესაძლებლობას მთლიანად გამოიცხოთ მოძრავი შემადგენლობის რემონტის რეკლამაციები, რომლებიც ჯერ კიდევ მოგდით ხოლმე, და განსაკუთრებით, მკვეთრად აამაღლოთ ელექტრული მანქანების შეკეთების ხარისხი. ქარხანაში კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ გაუმჯობესდეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მაქსიმალურად შემცირდეს ხელის შრომის წილი, რაც განსაკუთრებით საჭიროა სარემონტო წარმოებაში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის უკეთ შესრულებას. ეს მაჩვენებელი კი ქარხანაში უსათუოდ უნდა გაუმჯობესდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ქარხნის რეკონსტრუქციისაგან შესაბამის უკუგებას მოველით. ქარხანა, ყოველივე სხვასთან ერთად, უკეთ უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ ხარისხიანად, საიმედოობის მაღალი გარანტიით შეაკეთოს ყველა სახეობის თანამედროვე მოძრავი შემადგენლობა, რთული ტექნიკა.

მინდა გამოვთქვა ერთი სურვილიც. იგი ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას შეეხება. ეს დიდმნიშვნელოვანი საყოველთაო-სახალხო საქმეა. ქარხანამ ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. იმედი გვაქვს, საკავშირო სამინისტროს შემწეობით ეს საკითხიც გადაწყდება.

ძვირფასო ამხანაგებო!

როგორც იცით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა იუბილესთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოდა!

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, მთელი ჩვენი ხალხის სახელით, მოგილოცოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო—ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და გისურვოთ ყველას ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

სამშობლო ოქტომბრის რევოლუციის ორდენით აღნიშნავს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა არა მარტო ახლანდელი თაობების დამსახურებას, არამედ თქვენი სახელოვანი შრომითი კოლექტივის ყველა თაობის ღვაწლსაც, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მუშათა და რევოლუციურ მოძრაობაში, ინდუსტრიალიზაციაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მთელი ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

მაღალი ჯილდო კოლექტივს ავალებს იმუშაოს კიდევ უფრო უკეთ, კიდევ უფრო შეუპოვრად, უფრო სრულად გამოიყენოს წარმოების სიღრმული რეზერვები, მიაღწიოს მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის მიმდინარე სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ მიჯნებს, საუკეთესო იყოს დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში. საამისო შესაძლებლობანი კი ქარხანას უდავოდ აქვს. ახლა მთავარია მოწონავე გამოცდილებაზე დაყრდნობით განაგრძოთ წინსვლა და უფრო თამამად ნერგოთ პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ქარხნის სახელოვანი კოლექტივი ყველა ღონისძიებას იხმარს, რათა წარმატებით შეასრულოს ყოველივე დასახული, პირნათლად განახორციელებს ხუთწლედის მესამე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებს და სოციალისტურ ვალდებულებებს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, შევასრულო საპატიო დავალება და თქვენი ისტორიული საწარმოს დროშას მივაბნიო საშშობლოს მაღალი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი!

10 ივლისი მეგაზდურის დღეა



აპარის თევზსაჭერი ფლოტილის სამმართველომ სახიხარულო ცნობა მიიღო სსრ-214 სეინერიდან. ამ გემის ეკიპაჟმა ხაკაშირო თევზის სამრეწველო გაერთიანების „აზოვშავზღვათევზის“ კოლექტივებს შორის წლის პირველ ნახევარში სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

სეინერის მეგაზდურებმა, რომლებსაც კაპიტანი ივანე მზდოიანი მეთაურობს, თევზჭერის წლიური დავალება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეასრულეს, ხოლო მომდევნო სამი თვის გეგმა 144 პროცენტით შესრულდა.

სურათებზე: მეზღვაურები ივანე რიბალოვი და ვალერი კაპანაძე — სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი; შავი ზღვის ქაფშიის ჭერის დრო.

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(ხაჭინფორმის ფოტოქრონიკა).

სასახელო შედეგებით

„საქთევზმრეწველო“ საწარმოო გაერთიანების უფროსის ზურაბ ბოლქვაძის კაბინეტში რადიოგრამა შემოიტანეს. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ტრალერ „რუსლანის“ კაპიტან-დირექტორი იგორ გრიაზნოვი იტყობინებოდა, რომ მისმა ეკიპაჟმა 45 დღით ადრე შეასრულა თევზჭერის სარეისო დავალება ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. ეს გამარჯვება მეზღვაურებმა თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეგაზდურის დღეს მიუძღვნეს. ასეთი შინაარსის ცნობები ხშირად მოდის შორეული ნოსსობიდან. ზღვაში მომუშავე ადამიანები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს, იბრძვიან საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის.

თევზის მრეწველობის მაათასიანმა კოლექტივმა წლეულს დამაჯერებელი შედეგები მოიპოვა. მან პროდუქციის გამოშვების იქვსი თვის გეგმა 130,9 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 129,4 პროცენტით შეასრულა. ამ პერიოდში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 20 მილიონი ბანეთის პროდუქცია გაეგზავნა. ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 112,1 პროცენტს მიაღწია. ეს კი 9,2 მილიონ მანეთს შეადგენს. შრომის ნაყოფიერება 22,2 პროცენტით გადიდდა. საქართველოს მებაღურები თევზს იჭერენ შავ ზღვაში, შიდა წყალსაცავებში, მდინარეებსა და ტბებში.

აღსანიშნავია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის გასულ 2,5 წელიწადში მეათე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა პროდუქციის გამოშვება. მიმდინარე ხუთწლედში „საქთევზმრეწველო“ კვლავ მიიღებს ახალ ტრალერებს, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს თევზჭერის გადიდებას.

ახალი ტიპის ტრალერებზე ყველა პირობაა შექმნილი ეკიპაჟების ნორმალური საქმიანობისა და დასვენებისათვის. გაერთიანების კოლექტივის წარმატებანი ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად მოპოვებულია შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების წყალობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ხუთწლედის სახელმწიფო დავალება უკვე შეასრულა გაგრის მეთევზეთა კოლმეურნეობის შავი ზღვის სეინერმა — 1098-მა, რომლის კაპიტან-ბრიგადირია გივი დარჯანია. ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა უკვე გაანაღდა აგრეთვე აჭარის თევზჭერის სამმართველოს კაპიტან-ბრიგადირის გივი უკლებას ეკიპაჟმა. ამ კაცის საქმისადმი თავდადება და ერთგულება საყოველთაოდ არის ცნობილი. იგი შესანიშნავი ორგანიზატორია და მისი ეკიპაჟი სისტემატურად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქენას იმსახურებენ ფოთის, ბათუმის და სოხუმის მეთევზეობის კოლმეურნეობების ის სეინერები, რომლებსაც კაპიტან-ბრიგადირები ბ. ჯიჯეიშვილი, ვ. კარაპეტიანი, ს. ქირია, ე. ნეიტორჩია ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბათუმის „წითელი მეთევზის“ კოლმეურნეობამ, რომელსაც ვ. გეგენავა უდგას სათავეში.

გაერთიანების კოლექტივი ცდილობს რაც შეიძლება მეტი გააკეთოს სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის. სისტემატურად აახლებს პროდუქციის ასორტიმენტს, ეძიებს რეზერვებს მაღალკალორიული ნაწარმის გამოშვებისათვის.

წლეულს „საქთევზმრეწველის“ გაერთიანების აჭარის თევზჭერის სამმართველოსთან შეიქმნა სპეციალიზებული საამქრო, რომელმაც დაიწყო ქართული ზეთიანი შპროტის და შპროტის პატეტის წარმოება. მზადდება აგრეთვე კონსერვები: სანელებლებიანი ქაფშია, არომატიზებულ-ხიანი ქაფშია, ცხარესაწებლიანი ქაფშია. ეს კონსერვები მომხმარებელს მოსწონს. საკვები პროდუქტების გამოსაშვებად მოქმედებს თევზის ჭაღამშეშავებელი ბაზები ბათუმში, ფოთში, სოხუმში. წლეულს დამთავრდა გაგრის თევზის გადამშეშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია. დაიწყო ახალი მაცივრების მშენებლობა ბათუმში, გალსა და ფოთში „საქთევზმრეწველის“ საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს კადრების მომზადებას. მარშან, მაგალითად, ასტრახანის სპეციალიზებულ ინსტიტუტში აქედან 164 კაცი გაიგზავნა. იგივე ასტრახანის საზღვაო-საკონტროლო საზღვაო სასწავლებელი ყოველწლიურად ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც გაერთიანებას ძალიან სჭირდება. გაერთიანების სასწავლებლების საუკეთესო კურსდამთავრებულნი წარმატებით სრულყოფენ თავიანთ ცოდნას. ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებელი, მაგალითად, წელიწადში 150 კვალიფიციურ მეზღვაურს ამზადებს. მოქმედებს აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფები. ყოველივე ეს ხელს უწყობს თაობათა ცვლის ღირსეულ შევსებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისიდან დღემდე მოპოვებული წარმატებანი მტკიცე საფუძველია იმისა, რომ გაერთიანების მთელი კოლექტივი მეტს გააკეთებს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის. რესპუბლიკა ელოდება ზღვაში და ხმელეთზე მოპოვებულ ახალ გამარჯვებებს. ეჰვგარეშეა, რომ მეზღვაურები თავდადებით იბრძოლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სათანადო დასკვნებს გამოიტანენ ამბ. ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან.

ლ. ჟინჟლაძე.

სახელოვნად განვლილი წლები

(დასასრული)

ბი, ისინი, ვინც ამიერკავკასიის უძველეს საწარმოს თავისი სიცოცხლის რამდენიმე ათეული წელი მოახმარა, და მთლად ახალგაზრდები — მათი შვილები, შვილიშვილები, რომლებიც სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს განაგრძობენ.

ქარხნის ტერიტორიის დამამშვენებელი ლოზუნგები, ტრანსპარანტები, მაკეტები თვალსაჩინოდ და ხატოვნად გვიამბობენ იმ უდიდეს მიღწევათა შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვეს ელექტროვაგონშემკეთებლებმა.

ყურადღებას იპყრობს ტრანსპარანტები, რომლებიც გვაუწყებენ მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში მოპოვებულ შრომითს გამარჯვებებს.

— ტექნიკური განახლების, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა დანერგვის მეოხებით მიღწეულია ეკონომიკური ეფექტი 800 ათასი მანეთის ოდენობით.

— დაზოგილი ლითონის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯზე მიმდინარე წლის დამდეგიდან შეკეთებულია ერთი ელექტრომატარებელი!

— შემკეთებელთა ყველა ბრიგადამ გადაწყვიტა ოთხ წელიწადში შეასრულოს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი. ახზე მეტი მუშა უკვე მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

— ნოვატორთა წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებულია 600 ათასი მანეთი ეკონომია.

რეკონსტრუქციის პროცესში აშენდა ბევრი საამქროს ახალი კორპუსები —მექანიკური, თვალსახარატო, ვაგონსაამწყობო, ელექტროსექციათა საამქროები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის პირობები, უზრუნველყოფილია გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის სტაბილურობა.

რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად აღადგენს 1500 სამგზავრო ვაგონს, 150 სექციას, ძრავიანი ვაგონის 75 მეტროპოლიტენის ვაგონს, 20 ათას ელექტრომანქანას. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 28 მილიონ მანეთს —ამის შედეგად საწარმო გადაიქცევა მოძრავი შემადგენლობის შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების დიდ ბაზად.

საიუბილეო კომისიის წევრებმა, ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი, რომელიც პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობასთან აღმართულა.

ამავე დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალი ქარხნის შესასვლელთან, ობელისკი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მუშათა კლასის ძალას, რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ერთგულებას.

ქარხნის ტერიტორიაზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ი. ჯავახიშვილმა.

იუბილარს მიესალმნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები და საქართველოს დედაქალაქის მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები.

...და დიდ საკონცერტო დარბაზში

საღამოს ზეიმმა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლა. აქ მოვიდნენ ისინიც, ვინც ოციან, ოცდაათიან, ორმოციან წლებში იდგა ჩარხებთან, სამჭედლო გრდემლებთან, წნეხებთან, ქურებთან, ვინც ქმნიდა მის ისტორიას, და ისინიც, ვინც დღეს ღირსეულად განაგრძობს ქარხნის შრომითი თაობების დიდებას. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირთა ოქროს ვარსკვლავი, საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

თბილისის სტალინის სახელობის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის 100 წლისთავისა და მისი პარტიული ორგანიზაცის შექმნის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, ვ. ნ. ენუქიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ჟ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნიოვი, რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საბჭოდრო და სასაზღვრო ოლქების, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წარმომადგენლები, ქარხნის ძოწინავე მუშები.

დროთა განუყრელი კავშირის, თაობათა მემკვიდრეობითობის შესახებ ილაპარაკა საზეიმო სხდომის გახსნისას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ.

სხდომის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

(ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხანაგმა შევარდნაძემ შეაბრძანა ორდენი ქარხნის დროშას.

ქარხნის უფროსმა ტ. გ. ჯაბაურმა საწარმოს მშრომელთა სახელით მხურვალე მადლობა უძღვნა პარტიას და მთავრობას გარჯის დაფასებისათვის და აღუთქვა, რომ ისინი კვლავაც გან

ᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ, ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲨᲘ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲓᲒᲐᲛᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲘᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲩᲜᲔᲜ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ „ᲡᲢᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲖᲔ“.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲛᲘᲠᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲠᲘᲕᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲐᲠᲐ ᲪᲐᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ, „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲗᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲐᲠᲐ ᲪᲐᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ, „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲗᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲛᲝᲒᲣᲛᲔᲣᲗᲐᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲡᲐᲜᲘᲡ“, ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲨᲔᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲤᲘᲠᲣᲖᲐ ᲓᲐᲐᲛᲘᲜᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲯᲐᲯᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲛᲘᲥᲐᲕᲐ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲯᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲠᲝᲠᲣᲐ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

„კომუნისტი“ აკვირდება საკითხავი

ამ დღეებში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტის, რევოლუციის დიდი ტრიბუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავი. საიუბილეო ზეიმი იწყება საქართველოში — პოეტის სამშობლოში.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ვ. მაიაკოვსკის იუბილეს მომწყობი საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სოციალისტური შრომის გმირს, პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძეს ამ მოვლენასთან დაკავშირებით ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა: პოეტის სიცოცხლის 37 წლიდან — 13 წელი საქართველოს წილად მოდის. როგორ აფასებთ წილნაყარობას, რომელსაც ვ. მაიაკოვსკისადმი განიცდის ქართველი ხალხი?

პასუხი: ლიტერატურულ სამყაროში არცთუ ისე ბევრია ასეთი მაგალითი. ვ. მაიაკოვსკი, რომელიც იყო ნამდვილად რუსი ეროვნული პოეტი, შშობლიურ ენასთან ერთად ქართული მეტყველების, ქართული სიმღერებისა და ლექსების ყდერადობა რომ შეიცნო, სამუდამოდ დარჩა მათს ტყვეობაში და არასოროს არ დაუმალავს ეს. „დაბადებით ქართველი ვარ“... — თქვა თავის თავზე პოეტმა. და ეს არ იყო ლიტონი სიტყვა. მისი პოეტური ტემპერამენტი ენათესაება ქართულ ხალხურ პოეზიას, მის შინაგან ექსპრესიას და ძალას.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარა რუსეთის დიდმა შვილმა და პოეტმა სიყვარული საქართველოსა და მისი ხალხისადმი. ახლა, როცა ვემზადებით იმისათვის, რომ ფართოდ აღვნიშნოთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი, რომელმაც სამუდამოდ დაამოყვრა რუსი და ქართველი ხალხები, პირადად ორი მოძმე ხალხის დამოყვრების აქტის ერთ-ერთ ულამაზეს ნიუანსად მიმაჩნია მისი ეს ფურცელიც.

საქართველოს ვ. მაიაკოვსკი სავსებით ბუნებრივად მიაჩნია თავის ღვიძლ შვილად, თავის პოეტად. იგი ორმაგად ძვირფასია ჩვენთვის. „ვალში ვარ შენი მოწმეშედილო ბაღდადის ზეცავ“, წერდა იგი — უკვე მოწოფული ოსტატი. მაგრამ თავისი ვალი მან სრულად მოიხადა არა მარტო „ბაღდადის ცის“, არამედ მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხის წინაშე, მათი რევოლუციური განახლების, ახალი ცხოვრების დამკვიდრების წინაშე.

ქართველი ხალხი ასმაგად მიაგებს პატივს პოეტს მისი შვილური სიყვარულისათვის. იგი სათუოდ უვლის პოეტის მამის საფლავს ქუთაისში, პატარა სახლს

დიადი ეპოქის მეხოტბე

ვ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავისათვის

მდინარე ცხენისწყლის პირას, სადაც პოეტი დაიბადა, ესიყვარულება მის უკვდავ ლექსს, რომლებიც ქართულადაც აჟღერდა. ქვეყნის ერთ-ერთი პოპულარული და ძვირფასი ლიტერატურული დღესასწაული გახდა საქართველოში მაიაკოვსკის საკავშირო დღეები. უკვე მეხუთედ ეკრიბებიან ამ დღეებზე მხცოვანი და დამწყები საბჭოთა პოეტები. და აი უკვე მეორე წელია ახალგაზრდების პოეტური პაექრობა მთავრდება საქართველოს სსრ მინისტრთა სახლში ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მიჩიჩებით.

კითხვა: რა ახალი მხარეებით გვევლინება დღეს ვ. მაიაკოვსკის შემოქმედება?

პასუხი: ჩემი შემოქმედების გრძელ გზაზე, მისი ნაწარმოებების თარგმნისას, არაერთგზის გზიარებივარ ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეტურ სამყაროს. სხვა ნაწარმოებებს შორის, ბუნებრივია, მე როგორც ქართველ პოეტს, არ შემეძლო გვერდი ამეარა „ვლადიკავკაზ-თბილისისათვის“. რომელიც აღსავსეა მოსიყვარულე შვილის მეამბოხეობით, მშობლიური მხარის წეს-ჩვეულებების, ისტორიისა და პეიზაჟის მიმართაც კი ქრესტომათიული უცვლელობის წინააღმდეგ. სულ ახლახან კი, საიუბილეო დღეების წინ, კვლავ მივმართე მას და ვთარგმნე „საუბარი ფინინსპექტორთან“ და მე შემიპყრო ნაცნობმა სასიხარულო გრძნობამ, რომ წილნაყარია იმ დიადი ეპოქის საქმეებთან, რომლითაც მაიაკოვსკის მთელი შემოქმედება სუნთქავს. მიმაჩნია, რომ თავისი შემოქმედებით პოეტი კონკრეტულად ეხმიანება დღევანდელ დღეს. სწორედ ამის წყალობით მის მემკვიდრეობას ვერაფერს აკლებს ჟამთა სრბოლა. დღესაც ხომ აქტუალურად ჟღერს სტრიქონები:

„თუმცა პოეტი
მარტო ხსოვნის
და უკვდავების,
მარტო მომავლის
ხმად არ დადის
მშობელ მხარეში —
არა!
მას დღესაც
ხელთ უპყრია
თავის ტაეში,
როგორც ლოზუნგი,
როგორც ხიშტი,
როგორც ალერსი“.

ეს, რაც შეეხება მაიაკოვსკის მნიშვნელობას, ასე ვთქვათ შინაგანი საქმისათვის. საერთაშორისო ასპარეზზე მისი პოეტური პოზიციები ასევე ურყევია. მაიაკოვსკის ხმა სულ უფრო ძალუმად გაისმის ახლანდელ რევოლუციურ სამყაროში. გალაქტიონ ტაბიძე, რომლის სულიერი პოეტური ნათესაობა მაიაკოვსკისთან უდავოა, თავისი პოემის „ეპოქის“ დასკვნით თავში წერდა: მეკითხებიან, როდისღა დამთავრდება თქვენი პოემაო? ვუპასუხებ: „ეპოქა“ დამთავრდება მსოფლიო რევოლუციის მოხდენის დღეს, შვილი ვარ მისი, სისხლი და ხორცი.

მაიაკოვსკის ნაბიჯების ხმა არ შეწყდება, სანამ გრძელდება ძლევამოსილი სვლა ქვეყნად სიკეთისა და სინათლისაკენ.

კითხვა: რა გავლენა მოახდინა ვ. მაიაკოვსკიმ თქვენი თაობის პოეტებზე?

პასუხი: ერთგზის მითქვამს და დამიწერია ამის შესახებ. ჩვენზე, პოეტებზე, რომლებიც სულიერად ვეთესავებოდით 20-იან წლებში ფესვგადგმულ მის კოჰორტას, მაიაკოვსკი უდიდეს გავლენას ახდენდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და ჩვენი საბჭოთა პოეზიის ანალბედა პოეტმა, იმ დროს გარკვეულწილად შეზღუდულად, ზერელედ აღვიქვი ბევრი რამ მისი შემოქმედებიდან. თუმცაღა, ამაში ბევრი სცოდავდა მაშინ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. შემდგომ წლებს ვხვდებოდი შემოქმედების სხვა გზებზე, მაგრამ ის, რაც შევიძინეთ ვ. მაიაკოვსკისაგან, — მოქალაქეობრიობა, პოეზიის შემტევი, აღმშენებლობითი სულისკვეთება — ჩვენთვის ყოველთვის მთავარი იყო.

ქვეყნისათვის, მსოფლიოს ად�ლო იაშვილით დაწყებული და ვალერიან გაფრინდაშვილით, გიორგი ლეონიძით, სიმონ ჩიქოვანით დამთავრებული.

მომდევნო წლებში, საქართველოში, თვით ვ. მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო ბევრი სხვადასხვა და კარგი პოეტი. ხოლო მოქალაქეობრივი ყღერადობის დონე არ დაქვეითებულა არც საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების წლებში, არც დიდი სამამულო ომის წლებში, არც ომისშემდგომი მშენებლობის წლებში.

დიდი სიამაყის გრძნობით უნდა ვთქვა, რომ ეს ხაზი დღესაც მკაფიოდ გრძელდება ჩვენი მომდევნო ქართველი პოეტების თაობათა შემოქმედებაში. პოეზია განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს იმ წარმატებათა მიღწევაში, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში ხდება უკანასკნელ ათწლეულში.

კითხვა: რა საიუბილეო ღონისძიებანი გველოდება?

პასუხი: საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა მეტად ვრცელია. 11 ივლისს თბილისში ჩამოვლენ თვალსაჩინო საბჭოთა ლიტერატორები, ყველა მოძმე რესპუბლიკის, საზღვარგარეთის ცამეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

12 ივლისს სტუმრები გვირგვინებით შეამკობენ ვ. ი. ლენინისა და ვ. მაიაკოვსკის ძეგლებს, დაათვალიერებენ საქართველოს სამხატვრო გალერეაში და გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენებს.

საღამოს თბილისის ფილარმონიის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება ვ. მაიაკოვსკის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

13 ივლისს საქართველოში მაიაკოვსკის საკავშირო დღეების მონაწილენი გაეგმგზავრებიან ქუთაისსა და მაიაკოვსკში, სადაც აგრეთვე გათვალისწინებულია საინტერესო ღონისძიებანი. დღეები დამთავრდება 15 ივლისს პოეზიის დიდი ინტერნაციონალური დღესასწაულით.

საიუბილეო ზეიმის აპოთეოზი გახდება მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საღამო, რომელიც 19 ივლისს გაიმართება და რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

განცდა. (სადირიორო პულტთან არის საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეს პუბლიკის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ლიანა ისაკაძე).

ნ. კილაძის ფოტო.

ლაკონიზმისა და ეროვნულობისათვის

ახლახან ბულგარეთის დედაქალაქში მოეწყო არქიტექტურის მეორე მსოფლიო ბიენალე —„ინტერარქიტექტურა-83“. ბიენალე ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო არქიტექტურული ფორუმია, რომელიც აჯამებს მსოფლიო არქიტექტურის პრაქტიკისა და თეორიის მიღწევებს. ბიენალე მოეწყო ბულგარეთის კულტურის სამინისტროს, საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირისა და დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის ეგიდით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბიენალე-83 საბჭოთა არქიტექტორების მნიშვნელოვანი წარმატებით დასრულდა. ეს წარმატება გაიზიარეს ქართველმა არქიტექტორებმაც — ქალაქ პლევნის ჯილდო, მედალი და ლაურეატის დიპლომები მიენიჭათ ვახტანგ დავითაიას და ზოთა გოსტანაშვილს — სოფელ მუხრანში ა.შენებული მემორიალის „ხსოვნის ტაძრისათვის“.

ამ დღეებში არქიტექტორი ვ. დავითაია ხოფიოდან თბილისში დაბრუნდა. ჩვენი გაზეთის „კორესპონდენტი შეხვდა მას და სთხოვა მოეთხრო ამ საერთაშორისო ფორუმის შესახებ. აი, რა თქვა მან:

— საერთოდ, ბიენალეს პროგრამა მრავალფეროვანია: სიმპოზიუმები, დისპუტები, პლენარული სხდომები, ახალგაზრდული ფორუმები, შეხვედრები გამოჩენილ არქიტექტორებთან, არქიტექტურული ფილმების ჩვენება და სხვა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არქიტექტურული პროექტების და რეალიზაციის, არქიტექტურული ფილმების, წიგნების კონკურსები, რომლებიც წინ უძღვის ბიენალეს დაწყებას და რომელთა შედეგები ცხადდება ბიენალეს გახსნის პირველსავე სხდომაზე. კონკურსის მასშტაბი რომ ნათელი იყოს, დავასახელებ რამდენიმე ციფრს: საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 358 საავტორო ჯგუფის 386 პროექტი (დაახლოებით 1350 ავტორი), ანუ 101 პროექტით მეტი, ვიდრე 1981 წლის ბიენალეზე. 88 წიგნი, 33 ფილმი, ცალკე მოეწყო კონკურსი მომავლის არქიტექტურაზე, რომელიც პერმანენტულად გაგრძელდება ჩვენი საუკუნის ბოლომდე — 2000 წლამდე და რომლისთვისაც იქმნება საგანგებო საგამოფენო გალერეა.

პროექტებისა და განხორციელებული ობიექტების კონკურსზე, რომელიც ბიენალეს ცენტრალური მოვლენაა, დაწესებული იყო 3 ძირითადი („გრან პრი“) და 30 სპეციალური, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ქალაქის სახელობითი პრემიები.

საერთაშორისო ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბიენალეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გ. სტოილოვი და რომელშიც შედიოდა მსოფლიოში აღიარებული 10 არქიტექტორი (ფ. კანდელა — ესპანეთი, ე. კანდილისი — საბერძნეთი, ტ. პენტილა — ფინეთი, პ. რ. ვასკესი — მექსიკა, რ. ფოსბეკი — აშშ, ვ. კიუკერი —გფრ და სხვა) შეიჯამა გამოფენა-კონკურსის შედეგები.

„გრან პრი“ და „საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის პრეზიდენტის ჯილდო მიეკუთვნა ტალინის კულტურისა და სპორტის სასახლეს — „ავტორთა ქალაქგეგმარებითი ტიპის, ქალაქის სილუეტში და სტრუქტურაში შენობის ორიგინალური ჩართვისათვის“. მეორე „გრან პრი“ მიიღო ცნობილმა იაპონელმა არქიტექტორმა იამაშიტამ ქ. კოოიხირისმაში მოედნისათვის. მესამე „გრან პრი“ ინგლისელ არქიტექტორ როდ ხაკნეისთან ერთად გაიყო ლენინგრადელმა არქიტექტორთა ჯგუფმა ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსის „კუნძულისათვის“ — რეალიზაციის მაღალი სოციალური ეფექტის, პროფესიული ოსტატობის და ბუნების პირველყოფილების შენარჩუნებისათვის. სპეციალური სახელობითი პრემიები, მედლები და ლაურეატების დიპლომები მიიპოვეს საბჭოთა, ბულგარელმა, ბრაზილიელმა, მექსიკელმა, იაპონელმა, ამერიკელმა, ჰოლანდიელმა, ბერძენმა, ბელგიელმა, ფინელმა, ინგლისელმა, უნგრელმა, გერმანელმა, ავსტრიელმა და შვეიცარიელმა არქიტექტორებმა.

მუხრანში აშენებული მემორიალის შესახებ საერთაშორისო ჟიურის თავმჯდომარემ თვის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მემორიალის ლაკონიზმსა და ეროვნულობას.

არქიტექტურული წიგნების კონკურსში პრემია მიენიჭა პროფესორ ა. იკონიკოვის წიგნს „ახალი არქიტექტურიდან პოსტმოდერნიზმამდე“. ბიენალეს მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გამოჩენილი იაპონელი არქიტექტორის კიშო კუროკავას მონაწილეობა და მისი პერსონალური გამოფენა.

ათენის ქარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით ბიენალემ მიიღო დეკლარაცია და მოწოდება მსოფლიო ხალხებისა და მთავრობებისადმი ომის საფრთხის აცილების თაობაზე.

ბიენალეს პრემიათა შორის იყო საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის და ქალაქ რიგის სპეციალური პრემიები.

კარგი იქნება, თუ მომავალ 1985 წლის მსოფლიო ბიენალეზე, ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე, ვიხილავთ ქალაქ თბილისის პრემიასაც.

საბჭოთა არქიტექტორები

გის წარმატება ბიენალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბახი

VIII '83

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

თანამედროვე ხუთვიდის ოსტატებმა, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით მოსკოვში ასპარეზობენ, შეჯიბრების პირველი მონაკვეთი დაამთავრეს. **სსრ-ში საქართველოს ნაკრებმა 3164 ქულა დააგროვა და I ადგილზე გამოვიდა.** მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაიწაწილეს მოსკოვისა და ყირგიზეთის კოლექტივებმა —3132-3132 ქულა. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ვ. კაზაკოვი (ყირგიზეთი) —1088 ქულა. საქართველოს წარმომადგენელთაგან ი. სალმონოვი მეოთხე ადგილზე გამოვიდა — 1066, ამდენივე ქულა დააგროვა ი. ბრიზგალოვმა და მან მეექვსე ადგილი მიიკუთვნა (საამმა სპორტსმენმა თანაბარი ქულები დააგროვა). ოთხ საფეხურის ჯამით მოსკოვის ნაკრებმა პირველ ადგილზე იყო 12292 ქულა, მეორეზე — რუსეთის ფედერაციის გუნდი — 12190, მესამეზე საქართველოს კოლექტივი —12114.

მსოფლიოსნური კროსის პირად ჩათვლაში უძლიერესი გახლდათ მოსკოველი ა. სტაროსტენი — 1270 ქულა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ კ. კაზაკოვი (ყირგიზეთი) —1249 და ა. ავდეევი (რსფსრ) — 1253 და ა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სომხეთის ნაკრებმა —3669. მეორენი იყვნენ ყირგიზეში —3627, მესამენი — უკრაინელები — 3585 ქულა.

ხუთი საფეხურის ჯამით პირადი პირველობა მოიპოვა მოსკოველმა ა. ხალანოვმა — 5498 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ს. სტეოპინი (უზბეკეთი) — 5339, მესამეზე — ა. ავდეევი (რსფსრ) — 5308. გუნდურ ჩათვლაში პირველი ეკვსეული ასე განაწილდა: 1. მოსკოვი — 15820 ქულა, 2. რსფსრ — 15694, 3. ყირგიზეთი — 15655, 4. საქართველო — 15519, 5. უკრაინა — 15351, 6. სომხეთი — 15273 ქულა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ „სპარტაკის“ და „ნისტრუს“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. ეს შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.

ბაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები. ლანჩხუთის „მეურაიმ“ ითამაშა ვორონეჟში ადგილობრივ „ფაკელთან“ და დამარცხდა ანგარიშით 0:3.

მემსამოდელო სპორტი. ბულგარეთის ქალაქ სტარაზაგორაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე თბილისელმა ვლადიმერ დოვენკომ მსოფლიო რეკორდი დამყარა და ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. მისმა გემის პატარა მოდელმა „ბ-1“ კლასის მოდელებს შორის ყველაზე დიდი სიცოცხლე განაცადა —220,30 კილომეტრი საათში.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩარდიცევალა ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეანეობა-გინეკოლოგიისა და ხელოვნური დათესლვის კათედრის გამგე, ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ვლადიმერ ბრიგოლის ძე ჯიქია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯანსულ ჩარქვიანი

ახალი წიგნიდან

ძლიერი ამა სოფლისა

დაიქუხა, დაიგრგვინა,
დაუმსხვრია მუხას ფესვი,
მერე სისხლი მოინყურა,
გადაუჭრა ცისფრად მყესი.
ცხოვარს მგელი ნაუკიდა,
ელვას ბაუმტერა მნყემსი,
ვინ ცრემლი არ გადმოაგდო,
იმის სადღეგრძელო შევსვი.

ა თ ნ ი

ჩემო ანმყო და ჩემო წარსულო,
მომავალ დღეთა სხივო სულმნათო,
წუთისოფელო,
ნერტილდასმულო,
სიმდიდრე უნდა დაგისურათო.
რუსთველს და დავითს,
თამარს და საბას,
ლამისყანიდან
პოეტს და ჰუსარს,
ბარათაშვილი არავის არ ჰგავს,
არცა ილია აკაკის მუზას.
გალაკტიონი
გასცქერის ვაჟას,
მთლად საქართველო —
ათივეს მდომელს,
მე ვფერავ
ვაჟას დაკანგულ ხანჯალს,
დაჰგობებია ქარქაში რომელს.

ვ ა ჟ ა ს ხ მ ა

რას იღრინები სამყაროვ,
რა ელვა შემომიქნიე,
რად მეუბნები სხვა ხარო —
რა უკრძალებლად მირქინე.

წყაროსთან ნუკრი დამიჭერ,
თავს დამანგრიე ტაძარი.
ზურგში ხანჯალი გამირჭე,
სახლს გამიჩინე ხანძარი.

დგას დედაბოძი ნაფუძნარს
ისე ვით ჯვარი საფლავზე,
წუთისოფელმა ჩაპფურცლა,
რაც ჩემში ჩამოაფასე.

დოქები სისხლით ამივსე,
ენა ნამგლიჯე მართლისა,
დამკარ, დამსეტყვე, დამნისლე,
ჭირი მაჭირვე ქართვლისა.

წინაპრის ცრემლი მაწვიმე
შთამომავლობა მატკინე,
ერთბაშად კი არ გამწირე —
სულს გამყარე და დამტკვირე.

მაინც შენით ვარ აქნამდე,
შენი სიმკაცრით ხელთვქმნილვარ,
ქვა დამეც, უფრო გაკქვავდი,
უფრო ვიქეცი ბეთქილად.

თვალი დამთხარე, უთვალო
ვაჟას ხმა მესმა ბებრული: —
ნუ დამამშვიდებ უფალო,
მამყოფე შენუნებული.

ვიტოვებულო ციხენო

საბრალო, ყორედ ქცეულო,
კოშკო ნაგებო არხოტით,
გნახავ, ნინასწარ ვგრძნეულობ,
მნახავდი, გაიხაროდი.

რა სიჩუმეა შატილსა,
რას კვნესენ სათოფურები,
ლოდებს ბათირას გათლილსა
რად დაუყრიათ ყურები.

მზექალას ხელის მადლისა
რად არ სცხვებიან პურები,
გულზე ცრემლივით დამდისა
ციხეთა საყვედურები.

ვერცა შიგნიდან გატყდებით,
ვერცა ხატობას ილხენო,
რა უფრო საყვარლები ხართ
მიტოვებულო ციხენო.

ხმა პაპაჩემის— ანდრია გელოვანისა

ჩვენი დიდი მზის მზერამა,
ზღვასაც დაცლილი საცრითა,
რა გიანდერძო, მე რა მაქვს,
რა სისხლი დაჭრილ არნივთა.

მოლს კამეჩივით ღამე ძოვს,
ჩამესმის კვნესა ძუძუთა,
მე რა მაქვს, რა გიანდერძო —
რა ხვალინდელი ჩუქურთმა.

მარაბდით შემოკვართული
მზე ამოდის და მზე ჩადის,
ბიჭო, დედაშენს ქართული
არ გაუუნონ ლეჩაქი.

დ ე დ ა ქ ნ ა

ირინოლას ვუძღვნი

ასოების წერას გოგო სწავლობს,
ჯახირ-ჯახირ გამოყავს და წვალობს...
რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად
გამოვა და გაიხარებ დიდად,
დედაენა გაგიხდება თარგად,
დედაენა გაგიხდება ხიდად.

მერე როცა იმ მშობლიურ ხიდით
გადაივლი მინდვრებსა და ქედებს,
ნინ რაც შეგხვდეს კარგად დააკვირდი,
მაგრამ ერთხელ უკან მოიხედე,
თვალი ჰკიდე შენსკენ მავალ ბალლებს—
ხიდი ხომ არ გაატანეს ტალლებს.

დ ა რ ი ბ ე ბ ი ბ ა ქ ვ ე ლ ე მ ე ბ ო ბ ა რ ს

შენ მიხედე ისეთ კაცს
ჩუმათ რომ იჭვრიტება,
მე შენი ვარ ისედაც,
მე ვერცხლი არ მჭირდება.

მისთვის, მისთვის დიდება,
მისთვის, დიბა-ფარჩები...
და თუ გაგიჭირდება,
ნამსვე შენთან გავჩნდები.

უ შ ე ნ ო ბ ა

თუთის ხეზე შაშვი დაჯდა,
შაშვმა თუთა შეარხია,
უშენობას ჰქვია ტანჯვა,
უშენობას სევდა ჰქვია.

შენი მზერა ალმაცერი
არ იქნება არ მახსოვდეს,
არასოდეს არ გეცალა,
არ გიყვარდი არასოდეს.

როგორ ტყვიასავით ამცდი,
ცრემლზე ცრემლი დამიგროვდა,
მე თავს ბედნიერად ვრაცხდი —
გულში შენი დარდი მქონდა.

ი რ მ ა ს

მოვკვდები, გავცამტვერდები,
შევუერთდები მინდვრებს,
ჩემი ციხფერი მტრედები
იფრენენ კიდითკიდე.
ლაჩარსა ქსლისა მბეჭველსა,
მკვდარიც შიშის ხარს ვაკვრიდე,
შენ ჩემსა მნიფე ყანებსა,
გულმოდგინებით მკიდე.

ა ხ რ დ ი ლ ი

კოპეტს, იქ, ოცდამეერთეზე

რაც მართალია, თუა მართალი,
უნდა ისმინოს უზენაესმა,
შენა ხარ ჩემი სისხლი გამთბარი,
ჩემამდე შენს ტყეს თვალი არ ესხა.

რაც მართალია, თუა მართალი,
ეს მე დაგხურე ნისლი ლეჩაქად,
მე დაგიყენე კართან ზამთარი,
რომ გაზაფხული არ დაეჩაგრათ.

მე ჩავუყენე შენს ლამაზ ქედებს
ლომის ზოზინი, ვეფხვის სიზანტე,
შენს ცას პირველად მე შემოვბედე —
დავიხურე და გამოვიზამთრე.

მე არ მივეცი ძილი შენს წყაროს,
მე ავადიდე შენი ქვედრულა,
მერე, გაბმულად „შავო მერცხალო“
გიმღერე კერას მოშორებულმა.

ეს მე დავარქვი მყინვარს მყინვარი,
მყინვარზე ახლაც ჩემი ქარი ქრის,
მე გაგიჩინე გულს სატკივარი,
მე, უბრალო ჭინჭს დროშა დაგირქვი.

მწვავს შენი ცეცხლი და ვიტანჯები,
ძმად ვეფიცები ვეფხვის ბოკვერსა,
მე ვიკვებები აიმ ნამჯებით,
რაც მოსჩენია ყანის მომკელსა.

მაქვს ხანჯალივით გულში გაჩრილი
უფლის ხმა, რაიც ზეცით მომესმა...
იმ გმირთაგმირის მე ვარ აჩრდილი,
ქართველი კაცი ელის რომელსაც.

საბურამო,
1983 წელი.

თბილისური გასტროლები

მეგობართა ხელოვნება

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ თბილისში გასტროლები აქვს სტავროპოლის მ. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. დიდი ინტერესი გამოიწვია სტუმართა პირველივე წარმოდგენამ — ი. ლაზარეს ა. მალიშევის ეკუთვნის. გაბრილოვიჩისა და ი. რაიზმანის, სცენარის „შენი თანამედროვის“ მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა „ვინ ხარ შენ, ვისი გუბანოვ?“, რომლის დადგმა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. მალიშევს ეკუთვნის.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — ნიტოჩკინი — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ბ. დანილჩენკო (მარცხნივ), ვასილ გუბანოვი — მსახიობი მ. მიხაილოვი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ტელევიზია

10 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — კონცერტი. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — დილის ფოსტა. 13.15 — კინოჟურნალი „მშენებლობა და არქიტექტურა. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — ი. ს. ტურგენევი „მდგმური“. ფილმ-სპექტაკლი. 16.50 — დღეს მებადურის დღეა. გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი ვ. მ. კამენცევი. 17.20 — გილოცავთ. 18.05 — მულტფილმები. 18.30 — უკრავს ე. გილელსი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მხატვრული ფილმი „კოდალას თავი არ სტკივა“. 21.00 — მოგზაურთა კლუბი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მღერის ჯანი მორანდი (იტალია). 23.40 — საფეხბურთო მიმოხილვა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამშობლოს ჩვენსას მზე დაპნათის. 9.40 — დოკუმენტური ფილმები მებადურის დღის გამო. 10.35 — მღერის კამერული გუნდი. 11.00 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.05 — მულტფილმები. 12.35 — დოკუმენტური ფილმები. 13.15 — მე ჩემი ბავშვობიდან ვარ. 14.00 — დოკუმენტური ტელეფილმის „ღია წერილის დღის“ პრემიერა. 14.30 — „მე-9 სტუდია“. 15.30 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 16.00 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.30 — შეიდსერიიანი მხატვრული ტელეფილმი „პირველი სიტყვა“. II სერია. 17.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „ძველი განჯის დღეგანდელი დღე“. 18.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო“ — „ჩერნომორეცი“. 19.45 — „ერმიტაჟი“. მე-6 ფილმი — „შუა საუკუნეების ხელოვნება“. 20.20 — კონცერტი. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარა ბებო!“. 21.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო“ — „ჟალგირისი“. მე-2 ტაიმი. 21.45 — დოკუმენტური ფილმი „სოფლის სახლი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ყოველ საღამოს სამუშაოს შემდეგ“.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ძველი თბილისის მოტივები“. 10.00 — „მოაბმე“. 10.30 — დილის გასართობი პროგრამა. „რიტმი, რიტმი, რიტმი“... 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი, სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიჭუნა დაიკარგა“ და მულტფილმი — „სათვალიანი ბაჭია“. 12.25 — „ჩვენი ლაშქარი“ — ნუნუ გოგუაძე. 12.40 — „საკვირაო გამოფენა“. 12.45 „დილის ფოსტა“. 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.45—დ. ბიმაროზა — „საიდუმლო ქორწინება“ (ბორის საოპერო სტუდიის სპექტაკლი). 14.55 — „საკვირაო გამოფენა“. 15.00 — ბავშვებისათვის—„ათი ათასად ზრდილობა“ (განმეორებით). 15.55 — „კინოაფიშა“. 16.15 — „ვესტნიკი“. 16.45 — „საკვირაო გამოფენა“. 16.50 — „დღეს მებადურის დღეა“ (მ.). 17.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ხიხანის ნათელი“ და „ჩვენი მერი“. პრემიერა. 18.05 — მეცნიერის გახსენება — „ანგარ ბოჭორიშვილი“. 18.45 — „ზღვარის გუდა“. 19.00 — კონცერტი. 19.30 — „მოაბმე“. 20.00 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო“-ვილნიუსის „ჟალგირისი“. შესვენების დროს — კინონარკვევი და „საკვირაო გამოფენა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი. ქუთაისის „ტორპედო“-ცსკა. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.30 — ინტერვიუ მატჩის შემდეგ. 23.40 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

თეატრი

10 ივლისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სალომე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა.კ. წერეთლის გამზ. № 2)

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისის „დინამო“ — მინსკის „დინამო“

12 ივლისს — სათადარიგო შემადგენლობა.

დასაწყისი 19 საათზე, 30 წუთზე.

13 ივლისს — ძირითადი შემადგენლობა.

დასაწყისი 20 საათზე.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 11-12 ივლისს 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა — 13 ივლისს სტადიონის № 1-№ 5 და № 9-№ 16 სალაროებში